1963/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (198)  10 იანვარი  1963 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ი. ლოშჩაკოვის გათავისუფლების შესახებ.

2. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ა. მელნიკის დანიშვნის შესახებ.

3. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანების „სოიუზსელხოზტეხნიკის" თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. პ. ს. კუჩუმოვის გათავისუფლების შესახებ.

4. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანების „სოიუზსელხოზტეხნიკის" თავმჯდომარედ ამხ. ა. ა. ეჟოვსკის დანიშვნის შესახებ.

5. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ა. ი. სტრუევის დანიშვნის შესახებ.

6. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. პ. ვ. ნაუმენკოს დანიშვნის შესახებ.

7. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ნ. ნ. ტარასოვის დანიშვნის შესახებ.

8. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ნ. გ. იგნატოვის გათავისუფლების შესახებ.

9. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. გ. იგნატოვის გათავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### განყოფილება მეორე

10. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით ამხ. ნ. ბ. ალექსეევის დაჯილდოების შესახებ.
11. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის რიგითის თ. ა. პოლეტაევისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
12. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით აკადემიკოს ა. ლ. კურსანოვის დაჯილდოების შესახებ.
13. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ რაზმელების ი. ბ. გაიდუკის, ბ. ი. ეგორჩიკოვის და ა. ი. პანტიუხოვის დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული დაქვემდებარების რიგი ქალაქის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და ზოგიერთ სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ.
15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონების გამსხვილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**1** მალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ი. ლოშჩაკოვის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ალექსანდრე ივანეს ძე **ლოშჩაკოვი** მალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 დეკემბერი.
№ 849-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**2** მალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ა. მელნიკის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ივანე ალექსანდრეს ძე **მელნიკი** მალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 დეკემბერი.
№ 850-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**3** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანების „სოიუზსელხოზტეხნიკის" თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. პ. ს. კუჩუმოვის გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. პავლე სერგის ძე **კუჩუმოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანების „სოიუზსელხოზტექნიკის" თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 855-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 4 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანების „სოიუზსელხოზტეხნიკის" თავმჯდომარედ ამხ. ა. ა. ეჟევსკის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ეჟევსკი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანების „სოიუზსელხოზტეხნიკის" თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 856-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ა. ი. სტრუევის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე სტრუევი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 857-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 6 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. პ. ვ. ნაუმენკოს დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. პეტრე ვასილის ძე ნაუმენკო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 858-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ნ. ნ. ტარასოვის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე ტარასოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 859-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ნ. გ. იგნატოვის გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ გრიგოლის ძე იგნატოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 860-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 9 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. გ. იგნატოვის გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ გრიგოლის ძე იგნატოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 861-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 10 „საპატიო ნიშნის" ორდენით ამხ. ნ. ბ. ალექსეევის დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით არგენტინის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ნიკოლოზ ბორისის ძე ალექსეევი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 854-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 11 საბჭოთა არმიის რიგითის თ. ა. პოლეტაევისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გმირობისა და მამაცობისათვის, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიჩინა, როცა იტალიელ პარტიზანთა რაზმის შემადგენლობაში იყო, საბჭოთა არმიის რიგითს თევდორე ანდრიას ძე პოლეტაევს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 862-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 12 შრომის წითელი დროშის ორდენით აკადემიკოს ა. ლ. კურსანოვის დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი ანდრია ლევის ძე კურსანოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 დეკემბერი.
№ 863-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**13** მედლით „მამაცობისათვის“ რაზმელების ი. ბ. გაიდუკის, ბ. ი. ეგორჩიკოვის და ა. ი. პანტიუხოვის დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის დაჯილდოვდნენ რაზმელები:

მედლით „მამაცობისათვის“

1. ივანე ბიკენტის ძე გაიდუკი;
2. ბენიამინ ივანეს ძე ეგორჩიკოვი;
3. ალექსანდრე იაკობის ძე პანტიუხოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 29 დეკემბერი.
№ 878-VI.

### განყოფილება მესამე

### ც ნ ო ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

1962 წლის 16 დეკემბერს გაიმართა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები ტაჯიკეთის სსრ კურგან-ტიუბეს № 287 საარჩევნო ოლქში.

კურგან-ტიუბეს № 287 საარჩევნო ოლქისაგან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ .საფარ სალიევი, ტაჯიკეთის სსრ კუიბიშევის სახელობის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი მუშა.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**14** საქართველოს სსრ რაიონული დაქვემდებარების რიგი ქალაქის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და ზოგიერთ სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ რაიონული დაქვემდებარების ქალაქები: ბორჯომი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, კასპი, სამტრედია, ტყიბული და წყალტუბო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას.

დაბა საგარეჯო გარდაიქმნას ქალაქად და მიეკუთვნოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას. საგარეჯოს სადაბო საბჭო გარდაიქმნას საქალაქო საბჭოდ.

2. დამტკიცდეს წარდგინებანი:

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გაგრისა და ოჩამჩირის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ;

გუდაუთის რაიონის ახალი ათონის სადაბო საბჭოს გაგრის საქალაქო საბჭოსათვის ადმინისტრაციულად დაქვემდებარების შესახებ;

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

რაიონული დაქვემდებარების ქალაქის — ქობულეთის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ;

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისა:

ჯავის რაიონის კვაისის სადაბო საბჭოს ცხინვალის საქალაქო საბჭოსათვის ადმინისტრაციულად დაქვემდებარების შესახებ.

3. ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს:

ბორჯომის საქალაქო საბჭოს — ახალციხის რაიონის ვალეს საქალაქო და აბასთუმნის სადაბო საბჭოები, ბორჯომის რაიონის ბაკურიანის და წაღვერის სადაბო საბჭოები;

ზესტაფონის საქალაქო საბჭოს — შორაპნის სადაბო საბჭო;

კასპის საქალაქო საბჭოს — მცხეთის საქალაქო საბჭო;

ტყიბულის საქალაქო საბჭოს — ტყიბულის რაიონის ხარისთვალის სადაბო საბჭო და თერჯოლის რაიონის ტყიბულჰესის მუშათა დასახლება;

წყალტუბოს საქალაქო საბჭოს — ცაგერის რაიონის ლაჯანურჰესის მუშათა დასახლება და ლაჯანურჰესის ცენტრალური მუშათა დასახლება;

4. შეიქმნას მარნეულის სამრეწველო რაიონი ცენტრით დაბა მარნეულში და მას ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს დაბა მარნეული, წალკის რაიონის ხრამჰესის, ბედიანის, ჩოჩიანის, ჩათახის, პანტიანის, ფიჭვებისხევის და ყარაბულახის მუშათა დასახლებები, ბოლნისის რაიონის კაზრეთის მუშათა დასახლება და მარნეულის რაიონის წოპის მუშათა დასახლება;

მარნეულის სამრეწველო რაიონული საბჭოს არჩევნებამდე მისი მოვალეობის შესრულება დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების მარნეულის სადაბო საბჭოს;

5. გამოეყოს ბორჯომის საქალაქო საბჭოს სოფელი ლიკანი და მიეკუთვნოს იგი ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს ბაკურიანის სადაბო საბჭოს სოფლები დიდი მიტარბი და პატარა მიტარბი და წაღვერის სადაბო საბჭოს — სოფლები მზეთამზე, დაბა, ტბა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემი, კიმოთესუბანი და სადგერი და მათგან შეიქმნას ბორჯომის რაიონის ტბის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ტბაში;

გამოეყოს შორაპნის სადაბო საბჭოს სოფელი პირველი მაისი და მიეკუთვნოს ზესტაფონის რაიონის სანახშირის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს კასპის საქალაქო საბჭოს სოფელი მიქელწყარო და მიეკუთვნოს კასპის რაიონის ქვემო ხანდაკის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს მარნეულის სადაბო საბჭოს სოფლები: დიდი ბეგლარი, პატარა ბეგლარი, ნორგიული, წერეთელი და ორჯონიკიძე და მათგან შეიქმნას მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ორჯონიკიძეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი. 1962 წლის 30 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 15 საქართველოს სსრ რაიონების გამსხვილების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გაერთიანდეს საქართველოს სს რესპუბლიკის შემდეგი რაიონები:

ახმეტისა და თელავის რაიონები — ერთ თელავის რაიონად, ცენტრით ქალაქ თელავში;

ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონები — ერთ ყვარლის რაიონად, ცენტრით დაბა ყვარელში;

სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები — ერთ სიღნაღის რაიონად, ცენტრით ქალაქ სიღნაღში;

გურჯაანის რაიონი და საგარეჯოს რაიონის ჩაილურის, მანავის, თოხლიაურის, კაკაბეთის, გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, პატარძეულის, ხაშმის, ყანდაურის, იორმუღანლოს სასოფლო საბჭოების ტერიტორია — ერთ გურჯაანის რაიონად, ცენტრით ქალაქ გურჯაანში, ხოლო საგარეჯოს რაიონის კოჭბაანისა და გომბორის სასოფლო საბჭოების ტერიტორია მიეკუთვნოს თიანეთის რაიონს;

სამგორის რაიონი და საგარეჯოს რაიონის სართიჭალის, უჯარმის, ახალსოფლისა და კრასნოგორსკის სასოფლო საბჭოების ტერიტორია — ერთ გარდაბნის რაიონად, ცენტრით სოფელ გარდაბანში, რომელიც ამასთან დაკავშირებით გარდაიქმნას დაბად;

დუშეთისა და მცხეთის რაიონები — ერთ დუშეთის რაიონად, ცენტრით ქალაქ დუშეთში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორისა და კასპის რაიონები და ქარელის რაიონის ბრეთის, ზემო ხვედურეთის, ურბნისის, რუისის სასოფლო და ქარელის სადაბო საბჭოების ტერიტორია — ერთ გორის რაიონად, ცენტრით ქალაქ გორში;

თეთრიწყაროსა და წალკის რაიონები — ერთ თეთრიწყაროს რაიონად, ცენტრით დაბა თეთრწყაროში;

ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონები (გარდა დაბა მარნეულისა) — ერთ ბოლნისის რაიონად, ცენტრით დაბა ბოლნისში;

ხაშურისა და ბორჯომის რაიონები და ქარელის რაიონის აბისის, ახალსოფლის, ავლევის, მოხისის, ქვენატკოცის, ბრეძის, გვერძინეთის, ზღუდრის, დირბის, კეხიჯვრის, ტყემლოვანის, დვანის სასოფლო და აგარის სადაბო საბჭოების ტერიტორია — ერთ ხაშურის რაიონად, ცენტრით ქალაქ ხაშურში;

ორჯონიკიძის, ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონები — ერთ ზესტაფონის რაიონად, ცენტრით ქალაქ ზესტაფონში;

წულუკიძისა და სამტრედიის რაიონები — ერთ სამტრედიის რაიონად, ცენტრით ქალაქ სამტრედიაში;

ვანისა და მაიაკოვსკის რაიონები — ერთ მაიაკოვსკის რაიონად, ცენტრით დაბა მაიაკოვსკში;

წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონები — ერთ წყალტუბოს რაიონად, ცენტრით ქალაქ წყალტუბოში;

საჩხერის რაიონი და ჭიათურის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში შემავალი სასოფლო საბჭოების ტერიტორია — ერთ საჩხერის რაიონად, ცენტრით დაბა საჩხერეში;

აბაშისა და გეგეჭკორის რაიონები — ერთ გეგეჭკორის რაიონად, ცენტრით დაბა გეგეჭკორში; აბაშის რაიონის კეთილარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია მიეკუთვნოს ლანჩხუთის რაიონს;

ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონები — ერთ ცხაკაიას რაიონად, ცენტრით ქალაქ ცხაკაიაში;

წალენჯიხის, ხობისა და ზუგდიდის რაიონები — ერთ ზუგდიდის რაიონად, ცენტრით ქალაქ ზუგდიდში;

ამბროლაურისა და ონის რაიონები — ერთ ამბროლაურის რაიონად, ცენტრით დაბა ამბროლაურში;

ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონები — ერთ მახარაძის რაიონად, ცენტრით ქალაქ მახარაძეში; ჩოხატაურის რაიონის ზომლეთის სასოფლო საბჭოს ტერიტორია მიეკუთვნოს ლანჩხუთის რაიონს.

2. დამტკიცდეს წარდგინებანი:

ა) აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

გუდაუთისა და გაგრის რაიონების გაერთიანების შესახებ ერთ გუდაუთის რაიონად, ცენტრით ქალაქ გუდაუთაში, სოხუმის რაიონის ეშერისა და ვერხნი ეშერის სასოფლო საბჭოების გუდაუთის რაიონისათვის მიკუთვნებით;

სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონების გაერთიანების შესახებ — ერთ ოჩამჩირის რაიონად, ცენტრით ქალაქ ოჩამჩირეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

ხულოსა და შუახევის რაიონების გაერთიანების შესახებ — ერთ ხულოს რაიონად, ცენტრით სოფელ ხულოში;

ბათუმისა და ქობულეთის რაიონების გაერთიანების შესახებ — ერთ ჩაქვის რაიონად, ცენტრით დაბა ჩაქვში.

გ) სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისა:

ცხინვალის რაიონის გაუქმებისა და მასში შემავალ ბელოთის, ქსუისის, გერის, ძარის, ვანათის, ხეთაგუროვის, ქემერტის, ქურთასა და ბერულის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის ზნაურის რაიონისათვის, ხოლო ღრომის, ბიყარისა და არცევის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის ლენინგორის რაიონისათვის მიკუთვნების შესახებ.

3. რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით გადაეცეს:

ქალაქ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია — ახალციხის რაიონის პამაჯის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

დაბა წაღვერის კოლმეურნეობის და დაბა ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია — ხაშურის რაიონის ტბის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

დაბა მარნეულის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია — ბოლნისის რაიონის ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

ქალაქ საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია — გურჯაანის რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

ქალაქ კასპის კოლმეურნეობის ტერიტორია — გორის რაიონის ქვემო ხანდაკის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

4. მორიგ არჩევნებამდე შენარჩუნებულ იქნას რაიონული, საქალაქო სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატების (შესაბამისი საარჩევნო ოლქებიდან) რწმუნებანი მშრომელთა დეპუტატების გამსხვილებული რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1.963 წლის 2 იანვარი.